



გალტ & თაბარში

შპს-ს მენეჯმენტი



ელექტროენერჯის ბაზარი საქართველოში - მაისი 2026

23 ივნისი 2026



მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

ანა ჯეჯელავა

ნამყვანი ანალიტიკოსი | a.jelava@gt.ge



ძირითადი ტენდენციები

2026 წლის იანვარ-აპრილში გაზრდილი იმპორტ-დამოკიდებულება და მაისის შემცირებული ექსპორტი, ხაზს უსმევს საქართველოს ენერჯეტიკის სეზონურ გამოწვევებს.

2026 წლის მაისში, ადგილობრივი მოხმარება წლიურად 3.8%-ით გაიზარდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა, ხოლო ექსპორტი 73.1%-ით შემცირდა 0.05 ტვტ.სთ-მდე. შედეგად, ჯამურმა მოთხოვნამ 8.6%-ით იკლო 1.2 ტვტ.სთ-მდე.

მაისი ისტორიულად საექსპორტო თვეა, რაც ჰიდროსადგურების სეზონურობითაა გამოწვეული. 2026 წლის მაისში, მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დასაცავად, ელექტროსისტემამ შეზღუდა ელექტროსადგურების მუშაობა, რის გამოც ადგილობრივმა გენერაციამ წლიურად 9.5%-ით იკლო.

ექსპორტის მკვეთრი კლება თურქეთის ბაზარზე ფასების ისტორიულ მინიმუმამდე - საშუალოდ 1.8 აშშ ცენტ/კვტ.სთ-მდე - შემცირებამ განაპირობა, რაც ხელსაყრელ ჰიდროლოგიურ პირობებსა და მზის გენერაციის ზრდას უკავშირდება. თურქეთში მზის სიმძლავრეების ზრდამ შესაძლოა ზაფხულის ფასებზე ზეწოლა მომავალშიც შეინარჩუნოს, თუმცა ეფექტი ბაზრისა და ჰიდროლოგიურ პირობებზეც იქნება დამოკიდებული.

2026 წლის 5 თვის მონაცემებით, საქართველოში ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 6.1%-ით გაიზარდა და 6.2 ტვტ.სთ შეადგინა. იმპორტისა და თბოგენერაციის წილი ჯამურ მიწოდებაში 36.3% შეადგენდა (vs 31.1% 2025 წლის 5 თვეში). გაზრდილი იმპორტ-დამოკიდებულება იანვარ-აპრილში და შემცირებული ექსპორტი მაისში საქართველოს სეზონურ გამოწვევებს უსვამს ხაზს.


მთლიანობაში, 2026 წლის მონაცემები მიუთითებს ისეთი გენერაციის ობიექტების განვითარების საჭიროებაზე, რომლებიც პასუხობენ საქართველოს სეზონურ გამოწვევებს, მაგალითად რეზერვუარიანი ჰიდროსადგურებისა და ქარის სადგურების. ამასთან, მონაცემები ხაზს უსვამს ენერჯის დამაგროვებლებისა და საექსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობას.

ცხრილი 1: ელექტროენერჯის ბალანსი, მაისი 2026

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	1.2	-8.6%	100%
ადგილობრივი მოხმარება	1.1	+3.8%	92%
ექსპორტი	0.054	-73.1%	4.5%
დანაკარგი	0.04	-15.6%	3.4%
მიწოდება	1.2	-8.6%	100%
ადგილობრივი გენერაცია	1.2	-9.5%	98.5%
იმპორტი	0.018	+33.3%	1.5%

წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის მოთხოვნა-მიწოდება, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

ცხრილი 2: ელექტროენერჯის ბალანსი, 5M26

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	6.5	+3.6%	100%
ადგილობრივი მოხმარება	6.2	+6.1%	95%
ექსპორტი	0.083	-60.3%	1.3%
დანაკარგი	0.2	-2.4%	3.3%
მიწოდება	6.5	+3.6%	100%
ჰიდრო, ქარი, მზე	4.1	-5.2%	63.7%
თბოსადგურები	1.21	+25.4%	18.6%
იმპორტი	1.15	+16.6%	17.7%

წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი



ელექტროენერჯის მოხმარება

ადგილობრივი მოხმარების ზრდა ყველა კატეგორიაში


ადგილობრივი მოხმარება წლიურად 3.8%-ით გაიზარდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა.

წლიური ზრდა დაფიქსირდა ყველა სეგმენტში:

- აფხაზეთის რეგიონი: +6.6%
- პირდაპირი მომხმარებლები: +5.8%
- საცალო მომხმარებლები: +2.1%

მოხმარების ზრდა უკავშირდება როგორც კლიმატურ ფაქტორებს, ასევე ენერგოინტენსიური საწარმოების გააქტიურებას.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარების პროფილი მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა 1: საცალო მოხმარება მოიცავს ეპ ჯორჯია მიწოდების, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და თელასის მოხმარებას.

შენიშვნა 2: პირდაპირ მომხმარებელთა სავალდებულო რეგისტრაციის კრიტერიუმში ამჟამად შეადგენს თვეში 0.4 გვტ.სთ მოხმარებას. ელექტროენერჯეტიკული ბაზრის კონცეფციის თანახმად, 2026 წლის ივლისიდან 35-110 კვ ძაბვის ყველა მომხმარებელი ვალდებული იქნება დარეგისტრირდეს პირდაპირ მომხმარებელად, ეს ვალდებულება ასევე შეეხება 1 გვტ.სთ თვიური მოხმარების მქონე 6-10 კვ ძაბვის მომხმარებლებს.



ელექტროენერჯის გენერაცია


მაისში გენერაცია შემცირდა ჰიდროლოგიური პირობების და სისტემის ოპერატორის მიერ გენერაციის შეზღუდვის გამო.

2026 წლის მაისში ჰიდროგენერაცია წლიურად 9.9%-ით შემცირდა და 1.2 ტვტ.სთ შეადგინა, რაც ჯამური მიწოდების 97.5%-ია. კლება დაკავშირებულია კლიმატურ პირობებთან და ამავდროულად, სისტემის ოპერატორის მიერ დაწესებულ გენერაციის შეზღუდვებთან. ეს შეზღუდვები საჭირო გახდა მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დასაცავად. გენერაციის შეზღუდვის გარეშე, მიწოდება გადააჭარბებდა მოთხოვნას, ადგილობრივი ბაზრისა და ექსპორტის ჩათვლით. მაისის თვეში განხორციელებული შეზღუდვების ზუსტი მოცულობის შესახებ საჭიროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ არის.

ქარისა და მზის გენერაცია წლიურად 55.8%-ით გაიზარდა, თუმცა ჯამურ მიწოდებაში მისი წილი კვლავ მცირე 1.0% იყო. ზრდა დაკავშირებულია აპრილში 18.7 მგვტ-იანი „ზემო ქარის სადგურისა“ და 2025 წლის ბოლოს დამატებული ახალი მზის სადგურების (ჯამში 10.8 მგვტ) ექსპლუატაციაში შესვლასთან.

თბოსადგურები, მაისისთვის დამახასიათებელი სეზონურობის შესაბამისად, არ მუშაობდნენ.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი



გენერაციის შეზღუდვების გაგრძელებას ივნის-ივლისშიც ველოდებით, თუმცა შედარებით ნაკლები მოცულობით, რადგან:

- ისტორიულად, ივნისი და ივლისი მაისთან შედარებით ნაკლები სიჭარბით გამოირჩევა.
- ესკომ თურქეთთან გააფორმა ბარტერის შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მაისი-ივლისის განმავლობაში განახორციელებს თურქეთში ელექტროენერჯის ექსპორტს, ხოლო სექტემბერ-ნოემბერში იმპორტს. ეს გარიგება გაზრდის ექსპორტის რაოდენობას და ჭამურ მოთხოვნას, შესაბამისად, შეამცირებს გენერაციის შეზღუდვებს ივნის-ივლისის პერიოდში.

ბარტერის ფარგლებში განსახორციელებელი ექსპორტის მოცულობას ესკომ შეისყიდის კვტ.სთ-ზე 4.021 თეთრად იმ ელექტროსადგურებისგან, რომელთაც წინააღმდეგ შემთხვევაში მოუწევდათ გენერაციის შეზღუდვა (სსე-ს განკარგულების შედეგად). ბარტერული შეთანხმების ზუსტი კომერციული პირობები, მათ შორის ექსპორტისა და სანაცვლო იმპორტის პროპორცია, საჭაროდ ცნობილი არ არის.




ელექტროენერჯიკით საგარეო ვაჭრობა

ელექტროენერჯიკის ჯამური ექსპორტი ბოლო 10 წლის მინიმუმზეა - როგორც მოცულობით, ისე ღირებულებით.

2026 წლის მაისში თურქეთში ელექტროენერჯიკის ექსპორტი შემცირდა 4.8-ჯერ რაოდენობრივად და 7.8-ჯერ ღირებულებით. ექსპორტმა 36.2 გვტ.სთ (vs 172.3 გვტ.სთ მაისი-25) და 1.0 მლნ აშშ დოლარი (vs 7.8 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა. ხოლო, თურქეთში ექსპორტის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 2.7 აშშ ცენტი შეადგინა (-39.4% წ/წ).


ექსპორტის ფასის, მოცულობისა და შემოსავლის ასეთი შემცირება თურქეთის ბაზარზე ფასების მკვეთრ კლებას უკავშირდება. 2026 წლის მაისში, ელექტროენერჯიკის საშუალო ფასი თურქეთის ბაზარზე შეადგინდა 1.8 აშშ ცენტს/კვტ.სთ-ზე (vs 6.4 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე მაი-25). ასეთი დაბალი ფასი ექსპორტის ეკონომიკურ მიზმიდველობას მნიშვნელოვნად ამცირებს, რადგან ექსპორტიორებს სისტემასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაც უწევდათ, მათ შორის გადაცემის ტარიფისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის.

გრაფიკი 4: ელექტროენერჯიკის ექსპორტი თურქეთში (მლნ დოლარი) და საშუალო ფასი (ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 5: ელექტროენერჯიკის ფასი თურქეთში 2026 წლის მაისში, ცენტი/კვტ.სთ



წყარო: EPIAS, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: საათობრივი ფასის საშუალო მაჩვენებელი

თურქეთის საბაზრო ფასსა და საქართველოდან ექსპორტის საშუალო ფასს შორის სხვაობა, სავარაუდოდ, ექსპორტის საათობრივ/დღიურ სტრუქტურასა და პირდაპირ კონტრაქტებს უკავშირდება. თურქეთში ელექტროენერჯიკის ფასების შემცირება, თავის მხრივ, მზის სადგურების მშენებლობას და ხელსაყრელ ჰიდროლოგიურ პირობებს უკავშირდება.




მაისში თურქეთში ექსპორტი მხოლოდ ოთხმა კომპანიამ განახორციელა:

შპს „აჭარ-ენერჯი 2007“, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“, შპს „სვანეთი ჰიდრო“ და შპს „კასლეთი-2“. დაბალი საბაზრო ფასების მიუხედავად, ექსპორტის გაგრძელება შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც მოქმედ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის შეთანხმებებს, ისე კომპანიების ინდივიდუალურ საკონტრაქტო პირობებს.

თურქეთის გარდა, ბალანსის მიხედვით ექსპორტი აზერბაიჯანშიც დაფიქსირდა, თუმცა ეს არ იყო კომერციული ექსპორტი. აღნიშნული მოცულობა აზერბაიჯანთან სინქრონული პარალელური მუშაობისთვის განხორციელებულ ტექნიკურ გაცვლას წარმოადგენდა და იმავე მოცულობისა და ღირებულების იმპორტით დაბალანსდა. 2026 წლის აპრილიდან შეიცვალა აღრიცხვის მეთოდოლოგია და ეს გაცვლა, რომელიც მანამდე ბალანსში სალდირებულად აისახებოდა, ახლა ცალ-ცალკე ფიქსირდება იმპორტსა და ექსპორტში.

გრაფიკი 6: ელექტროენერჯიის იმპორტი და ექსპორტი, გვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თავართი
შენიშვნა: 2026 წლის აპრილიდან იმპორტ-ექსპორტის აღრიცხვის მეთოდოლოგია შეიცვალა: აზერბაიჯანთან სინქრონული პარალელური მუშაობისთვის განხორციელებული გაცვლა, რომელიც ადრე სალდირებულად ჩანდა, ახლა ცალ-ცალკე აისახება იმპორტსა და ექსპორტში.




საბალანსო ბაზარი და ფასები

საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო ფასი მაისში წლიურად 3.5%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.1 აშშ ცენტი შეადგინა.

ამასთან, საბალანსო მოცულობა უმნიშვნელო წლიური 0.7%-ით გაიზარდა და 0.3 ტვტ.სთ შეადგინა, რაც ჯამური მიწოდების 23%-ს წარმოადგენს.

გრაფიკი 7: საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა (ტვტ.სთ) და ფასი (ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: საშუალო ფასი გულისხმობს ესკოს საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდ ფასს



რეგულაციური სიახლეები

ქსელის ახალი წესები არააქტიურ პროექტებს ქსელთან მიერთებას გაუქმებს

2026 წლის 12 ივნისს ქსელის წესებში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით:

- გადაცემის სისტემის ოპერატორი ვალდებულია გააუქმოს ქსელთან მიერთების შეთანხმებები იმ ელექტროსადგურის პროექტებს, რომლებსაც არ აქვთ ეკონომიკის სამინისტროს დასტური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ან მშენებლობის ეტაპზე ყოფნის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას ელექტროსისტემა გამოითხოვს სამინისტროსგან პირველი აგვისტოს ჩათვლით. ელექტროსისტემის მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება პროექტის დეველოპერებს აქვთ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
- გაუქმებულ პროექტებს დაუბრუნდებათ გადახდილი ქსელთან დაერთების საფასური.
- ენერგო-პროს და თელასის ქსელზე ახალი გენერაციის ობიექტის დაერთების განაცხადისთვის სავალდებულო გახდა მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულება პროექტის განვითარებაზე ან სამინისტროს წერილობითი დასტური.

აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს ელექტროსადგურების მშენებლობის პროცესის ერთიან ჩარჩოში მოქცევას და ქსელზე მიერთების წერტილებში დარეგულირებული სიმძლავრეების გამოთავისუფლებას.



ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026F
ადგილობრივი მოხმარება, ჯამური	12,136	13,730	14,165	13,053	13,834	14,317	14,908
% ცვლილება წ/წ	-4.9%	13.1%	3.2%	-7.9%	6.0%	3.5%	4.1%
საიდანაც:							
აფხაზეთის რეგიონი	2,552	2,956	3,029	2,703	2,553	2,486	2,635
% ცვლილება წ/წ	23.9%	15.8%	2.5%	-10.8%	-5.6%	-2.6%	6.0%
პირდაპირი მოხმარებლები	2,438	3,554	3,726	2,779	3,142	3,430	3,567
% ცვლილება წ/წ	-14.9%	45.8%	4.8%	-25.4%	13.1%	9.2%	4.0%
საჯალბო ბაზრის მოხმარება	7,146	7,219	7,411	7,572	8,139	8,401	8,707
% ცვლილება წ/წ	-8.8%	1.0%	2.7%	2.2%	7.5%	3.2%	3.6%
ადგილობრივი გენერაცია, ჯამური	11,160	12,645	14,247	14,396	14,234	13,838	13,921
% ცვლილება წ/წ	-5.9%	13.3%	12.7%	1.0%	-1.1%	-2.8%	0.3%
საიდანაც:							
თბოსადგურები	2,821	2,380	3,388	3,446	2,812	2,767	2,767
% ცვლილება წ/წ	-0.7%	-15.6%	42.4%	1.7%	-18.4%	-1.6%	0.0%
ქარის და მზის სადგურები	91	83	87	86	78	84	104
% ცვლილება წ/წ	7.3%	-8.2%	5.0%	-1.6%	-9.9%	8.3%	24.2%
ჰიდროსადგურები	8,248	10,182	10,771	10,863	11,344	10,987	11,050
% ცვლილება წ/წ	-7.7%	23.4%	5.8%	0.9%	4.4%	-3.2%	0.3%
საგარეო ვაჭრობა							
იმპორტი	1,610	2,006	1,533	790	1,228	1,558	1,692
% ცვლილება წ/წ	-1.0%	24.6%	-23.6%	-48.5%	55.4%	26.9%	8.7%
ექსპორტი	154	391	971	1,468	1,047	511	250
% ცვლილება წ/წ	-36.8%	154.2%	148.4%	51.2%	-28.7%	-51.2%	-51.1%
სავაჭრო ბალანსი	-1,456	-1,615	-562	679	-180	-1,046	-1,442
% ცვლილება წ/წ	5.3%	10.9%	-65.2%	-220.7%	-126.5%	480.8%	37.8%
ტრანზიტი	204	1,135	2,933	3,444	1,074	665	0
% ცვლილება წ/წ	-25.2%	457.8%	158.3%	17.4%	-68.8%	-38.1%	

წყარო: სემევი, ესკო, მაცნე, გალტ & თავარიტი
შენიშვნა: 2026F მონაცემები წარმოადგენს გალტ & თავარიტის პროგნოზს



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი განხილვები, პუბლიკაცია, ხელშეწყობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერაა დადგინებული და მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იტვირთენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის შინაარსი არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოკლულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იყოს დადგინდეს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge